



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხვილი თეთრი ღორი



მსხვილი თეთრი ღორი

მსხვილი თეთრი ღორი, უნივერსალური პროდუქტიულობის მსხვილი მალმნიფადი ღორის ჯიში. გამოყვანილია XIX ს. ინგლისში ადგილ. გვიანმნიფადი ღორების მალმნიფად ჩინურ., ნეაპოლურ და პორტუგალიურ ღორებთან რთული შეჯვარებით. სსრკ-ში **მ. თ. ღ**-ის ჯიში შეიქმნა ხანგრძლივი სანაშენე მუშაობის შედეგად და არსებითად ახ. სამამულო ჯიშად ითვლებოდა, რ-იც სამნაირი ტიპის იყო: სახორცე, სახორცე-საქონე (უმეტესობა) და საქონე. ზრდასრული

კერატი იწონიდა 300–350 კგ, ნებვი – 200–250 კგ, ნაყოფიერება – 10–12 გოჭი ყოველ დაყრაზე. ინტენსიური სუქებისას 6 თვის მობარდული 100 კგ იწონიდა. **მ. თ. ღ.** საქართველოში პირველად XIX ს. I ნახ-ში შემოიყვანეს (ზესტაფონი, ბორჯომი, სურამი). ამ ჯიშს აშენებდნენ სანაშენე მეურნეობასა და ფერმაში, რ-საც ხელმძღვანელობდა 2 სახელმწ. ჯიშთსაშენი.
